საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6888
14/11/2022

6888-21-2-202211141656

შპს "ეგრისი +"-ს
მის: ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარა ფოთი
ელ. ფოსტა: Egrisi2018@gmailcom

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 13 სექტემბრის №4824 განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშის) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

2022 წლის 11 ნოემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ეგრისი +"-ის სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშის) გადამამუშავებელი საწარმო და ნავთობპროდუქტების საცავი მოეწყო და ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლამდე, ხოლო ობიექტზე რაიმე სახის ტექნიკური ცვლილება არ განხორციელებულა.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, **2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი საქმიანობა არ საჭიროებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლას.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო